# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური  წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34


N 58
18/04/2018

58-08-4-201804181753

## საკრებულოს თავმჯდომარის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი**

**სხდომის მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1.მიმდინარე წლის 25 აპრილს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა პრემიების ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ “ 2014 წლის 15 დეკემბრის N58 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

*მომხსენებელი: მარინე ბერაძე*

1.2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ'' ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

*მომხსენებელი: მარინე ბერაძე*

1.3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ” 2014 წლის 19 ნოემბრის N52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

*მომხსენებელი: მარინე ბერაძე*

1.4. ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ.

*მომხსენებელი: ლელა მდინარაძე*

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

*მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა*

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

*მომხსენებელი: მაია გოგოლაძე*

*თანამომხსენებლები: მამუკა ზარანდია, თამაზ ბუკია, აკაკი ყაჭეიშვილი,*

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა